



## თამაზ ახოზაძემ შიმშილობა დაიწყო

თამაზ ახოზაძემ პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართა და შიმშილობა დაიწყო. თამაზს პროტესტის ამ ფორმის არჩევა სახელმწიფო უწყებების უმოქმედობამ აიძულა, რაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების აღუსრულებლობაში გამოიხატა. როგორც საზოგადოებისათვის არის ცნობილი, **საიას დახმარებით, თამაზ ახოზაძემ ყველა ინსტანციის სასამართლოში წარმატებით დაასრულა დავა დანაშაულის პრევენციის ცენტრის წინააღმდეგ (მათ შორის, ორჯერ უზენაეს სასამართლოში) და დაამტკიცა, რომ სამსახურიდან უკანონოდ გაათავისუფლეს.** სასამართლომ დაადგინა, რომ თამაზ ახოზაძის სამსახურიდან გაათავისუფლება განაპირობა კონკრეტული თანამდებობის პირების სუბიექტურმა დამოკიდებულებამ, რაც არ იყო ვაჟშირში დასაქმებულის მუშაობის ხარისხთან და მის კომპეტენციასთან. მრავალწლიანი სასამართლო დავა საბოლოოდ 2017 წლის 15 სექტემბერს დასრულდა და იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრს თამაზ ახოზაძის სამსახურში აღდგენა და აღდგენამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება დაევალა.

**საია კიდევ ერთხელ მოუწოდებს:**

**- იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ დანაშაულის**

**პრევენციის ცენტრს**

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



- დაუყოვნებლივ აღასრულოს სასამართლო გადაწყვეტილება, აღადგინოს თამაზ ახოზაძე სამსახურში და აუნაზღაუროს მას განაცდური ხელფასი;
- **აღსრულების ეროვნულ ბიუროს** - მიიღოს შესაბამისი ზომები სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსასრულებლად;
- **საქართველოს პროკურატურის ორგანოებს** - წინამდებარე საქმეზე დაიწყონ გამოძიება და დაადგინონ, რამდენად იკვეთება დანაშაულის ნიშნები შესაბამისი პირების ქმედებებში.